საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 88/2

2026 წლის 08 მაისი ქ. თბილისი

აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-12 მუხლის, მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვე/პუნქტისა და 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები, კერძოდ არჩეულ იქნას აკადემიური საბჭოს 1 წევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან.

2. კენჭისყრა ჩატარდეს 2026 წლის 15 მაისს, უნივერსიტეტის I კორპუსში, მისამართზე: რუსთაველის გამზ. № 19.

3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

4. განცხადებების მიღებას უზრუნველყოფს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კადრებისა და კანცელარიის სამსახური. მის: I კორპუსი, რუსთაველის გამზ. 19

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კადრებისა და კანცელარიის სამსახურს.

6. ბრძანების გამოქვეყნება დაევალოს კადრებისა და კანცელარიის სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 64.

საფუძველი: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო

საბჭოს თავმჯდომარის ი. დოლიძის 08.05.2026

წლის სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი შალუტაშვილი

რ ე ქ ტ ო რ ი